



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეხუთე სექცია

საქმე „სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი № 37809/08)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2019 წლის 25 ივლისი

საბოლოო გახდა

25/10/2019

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას

საქმეზე „სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ“,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე
სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:
ანგელიკა ნუსბერგერი, თავმჯდომარე,
ჰანნა იუდკივსკა,
ანდრე პოტოკი,
სიოფრა ო'ლირი,
მარტინშ მიტსი,
გაბრიელ კუმპო-შტადლმაიერი,
ლადო ჭანტურია, მოსამართლეები,
და კლაუდია ვესტერდიკი, სექციის განმწესრიგებელი,
2019 წლის 2 ივლისს გამართული დახურული თათბირის
შემდეგ,
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს
იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საქართველოს მოქალაქის ქ-ნ თინა სვანიძის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, 2008 წლის 1 ივლისს სასამართლოში წარდგენილი საჩივარი №37809/08 საქართველოს წინააღმდეგ.
2. მომჩივანს წარმოადგენდა ბ-ნი ი. ყანდაშვილი, რომელიც საქმიანობს თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ბ. ძამაშვილი.
3. მომჩივანი ასაჩივრებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს სავარაუდო უკანონო შემადგენლობას, რომელმაც განიხილა მისი საქმე, უშუალოდ პრინციპის დარღვევასა და ეროვნული სასამართლოების დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს.
4. 2016 წლის 8 სექტემბერს, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებული ზემოხსენებული საჩივრების შესახებ ეცნობა საქართველოს მთავრობას და საჩივრის დანარჩენი ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი, სასამართლოს რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1935 წელს და ცხოვრობს თბილისში. საქმეში აღნიშნული დროისათვის ის იყო მცხეთის საავადმყოფოს გინეკოლოგიური დეპარტამენტის უფროსი.

6. 2005 წლის 22 სექტემბერს, დილით ადრე, პაციენტი გ. მ. მიიყვანეს მცხეთის საავადმყოფოში მუცლის მწვავე ტკივილით. ორმა მორიგე ექიმმა დაუსვა მას პოსტაბორტული მწვავე ენდომეტრიტი და პევილიოპერიტონიტის დიაგნოზი. მომჩივანი მივიდა საავადმყოფოში დილის 10 საათზე. მან ხელახლა გასინჯა გ. მ., რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის გაუარესებულიყო და გადაწყვიტა მისი გადაყვანა ინტენსიურ განყოფილებაში. ამის შემდეგ გ.მ.-ს ჩაუტარდა ორი ულტრაბგერითი გამოკვლევა, რომლის შედეგად გადაწყდა სასწრაფო ოპერაციის ჩატარება.

7. 2005 წლის 22 სექტემბერს, 3:50-ზე, ოპერაციის დაწყებამდე გ. მ. გარდაიცვალა. გვამის გაკვეთამ აჩვენა, რომ სიკვდილის მიზეზი იყო მწვავე ანემია, რომელიც განვითარდა ფალოპის მილის გახეთქვის შედეგად, რაც გამოწვეული იყო საშვილოსნოს გარე ორსულობით.

8. იმავე დღეს დაიწყო გ.მ.-ის გარდაცვალების წინასწარი გამოძიება იმის დასადგენად, ხომ არ იყო მისი სიკვდილი გამოწვეული სამედიცინო გულგრილობით „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 130-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (ავადმყოფის სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მიტოვება არასაპატიო მიზეზით, რამაც გამოიწვია მისი სიცოცხლის მოსპობა).

9. 2005 წლის 22 დეკემბერს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტებმა დაადასტურეს გვამის გაკვეთის შედეგები. ექსპერტებმა, ასევე, დაასკვნეს, რომ არასწორი დიაგნოზის გამო, გ.მ.-ს არ ჩაუტარდა გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა.

10. 2006 წლის 16 თებერვლის საბრალდებო დასკვნის შესაბამისად, მომჩივანსა და მის ორი კოლეგას ბრალი წაუყენეს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პაციენტისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არასაპატიო მიზეზით

გაუწევლობაში, რამაც გამოიწვია ავადმყოფის გარდაცვალება („სისხლის სამართლის კოდექსის“ 130-ე მუხლი, მე-2 ნაწილი).

11. მცხეთის რაიონული სასამართლოს პროცესი დაიწყო 2006 წლის 6 მარტს. პირველი ინსტანციის მოსამართლე გ.კ.-მ, რომელიც მოქმედებდა, როგორც ერთადერთი მოსამართლე, გამოკითხა ჩვიდმეტი მოწმე, მათ შორის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის შემდგენელი ექსპერტები, ასევე, მომჩივანი და მისი ორი თანამოპასუხე. 2006 წლის 7 აგვისტოს, მას შემდეგ რაც მტკიცებულებების გამოკვლევა დასრულდა, მოსამართლე გ.კ.-მ, რომელიც მოქმედებდა, როგორც ერთადერთი მოსამართლე, ბრალდების მხარის მოთხოვნით, გადაწყვიტა გამოეყო მომჩივნის საქმე მისი კოლეგების საქმიდან. ამ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და ის ფაქტი, რომ იგი ვერ ახერხებდა პროცესში მონაწილეობას.

12. მეორე დღეს მოსამართლე გ.კ.-მ მისწერა წერილი მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლითაც აცნობა, რომ მომჩივნის კოლეგების საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოცხადდებოდა 2006 წლის 9 აგვისტოს. ამასთან დაკავშირებით, მან მოითხოვა სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა მომჩივნის საქმეში, რომ ჩაენაცვლებინა ის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ (სსსკ) 436-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. 2006 წლის სექტემბრის დაუდგენელ დღეს მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაიყვანილ იქნა მოსამართლეთა რეზერვში. 2006 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნა მოსამართლე პ. ს. მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად.

13. 2006 წლის 8 ნოემბერს სასამართლო პროცესი მომჩივნის წინააღმდეგ განახლდა, რომელსაც მცხეთის რაიონული სასამართლოს ახალი თავმჯდომარე, მოსამართლე პ. ს. უძღვებოდა, როგორც სათადარიგო მოსამართლე. 2006 წლის 21 ნოემბერს გამართული მოსმენის დროს, მომჩივნის ადვოკატმა მოითხოვა, რომ მოსამართლე პ.ს.-ს ხელახლა დაეწყო საქმის განხილვა, პროცედურის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 435-ე მუხლით (იხ. პარაგრაფი 21 ქვემოთ). პროკურორი არ დაეთანხმა მომჩივანს. მან აღნიშნა, რომ მტკიცებულებების გამოკვლევა უკვე ჩატარებული იყო, ხოლო

ხელახალი მოსმენა მხოლოდ გააჭიანურებდა პროცესს. ბრალდებისა და დაცვის მხარეების მოსმენის შემდგომ, მოსამართლე პ.ს.-მ არ დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა. მან დაასკვნა, რომ ის დაინიშნა მომჩივნის საქმეში, როგორც სათადარიგო მოსამართლე და შესაბამისად, სსსკ-ის 436-ე მუხლის მიხედვით, ის არ იყო ვალდებული ხელახლა დაეწყო საქმის განხილვა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ საქმის მასალები საკმარისი იყო მისთვის, რომ გაეგრძელებინა საქმის განხილვა. დაცვის მხარემ, ასევე, შეიტანა შუამდგომლობა სასამართლოში, რომლითაც ითხოვდა მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ორი დამატებითი მოწმის გამოკითხვას. დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ ამ მოწმეებს, როგორც მცხეთის საავადმყოფოს თანამშრომლებს, შეეძლოთ უფრო ზუსტი ინფორმაციის მოწოდება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩატარდა გ. მ.-ის მეორე ულტრაბგერითი გამოკვლევა. მოსამართლე პ.ს.-მ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, რადგან მიიჩნია როგორც არაკეთილსინდისიერი.

14. 2007 წლის 1 მარტს მომჩივანი დამნაშავედ სცნეს. მას მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც უნდა მოეხადა მას შემდეგ, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და დაეკისრა ჯარიმა 15 ათასი ლარის ოდენობით. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანმა, საპატიო მიზეზის გარეშე არ გაუწია სამედიცინო დახმარება გ. მ.-ს, რომელსაც ის გადაუდებლად საჭიროებდა. გ. მ.-ის ულტრაბგერითი გამოკვლევა არ იყო სწრაფად ორგანიზებული და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიუხედავად პაციენტის მუცლის ღრუში სითხის შენიშვნისა, რაც, სხვა სიმპტომებთან ერთად, კრიტიკული მდგომარეობის მანიშნებელი იყო, მომჩივანმა ვერ უზრუნველყო გადაუდებელი სამედიცინო ჩარევა.

15. მომჩივანმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება. ის დაობდა, რომ მოსამართლე, რომელმაც დამნაშავედ ცნო ის, სასამართლო პროცესში ჩაერთო მხოლოდ ბოლო ეტაპზე, მას შემდეგ, რაც მტკიცებულებების გამოკვლევა დასრულებული იყო; შესაბამისად, მას არ მიუღია მონაწილეობა მოწმეების გამოკითხვაში და ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა სახის ჩვენებების განხილვაში. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების მიხედვით, მოსამართლე პ. ს. დაინიშნა მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ მხოლოდ 2006 წლის 29

ავგისტოს. შესაბამისად, მას არ შეეძლო ყოფილიყო სათადარიგო მოსამართლე მის პროცესში, რომელიც დაიწყო 2006 წლის მარტში.

16. რაც შეეხება მისი ბრალდების შინაარსს, სხვა საკითხებთან ერთად, მომჩივანი დავობდა იმაზე რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი არგუმენტი, რომ ოპერაციის დასაწყებად არ იყო ხელმისაწვდომი ანესთეზიოლოგი იმ მომენტში, როდესაც აშკარა გახდა ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა. ამგვარად, სამედიცინო გულგრილობის ბრალდების შემადგენელი ელემენტი - „არასაკატიო მიზეზით“ - არ იყო დაკმაყოფილებული.

17. 2007 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საბრალდებო განაჩენი. შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნისა და მოწმის ჩვენების საფუძველზე, რომლებსაც მოიცავს საქმის მასალები, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანმა დააგვიანა გ.მ.-ის მეორე ულტრაბგერითი გამოკვლევის ორგანიზება. შესაბამისად, როდესაც დაახლოებით 13:00-ზე გ.მ.-ს ჩაუტარდა ულტრაბგერითი გამოკვლევა, მის მუცლის ღრუში აღმოჩნდა სითხე, რაც მიუთითებდა გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის საჭიროებაზე. თუმცა, გ. მ. გარდაიცვალა 15:50-ზე ისე, რომ არ ჩატარებია ამგვარი ჩარევა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, როგორც დაუსაბუთებელი, მომჩივნის არგუმენტი, რომ მას არ შეეძლო ქირურგიული ჩარევის დაწყება ანესთეზიოლოგის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, ის დაეყრდნო რამდენიმე ექიმის ჩვენებას, რომ გ. მ.-ის ოპერაციისთვის მოსამზადებლად არ გატარებულა რაიმე ღონისძიება 13:00-სა და დაახლოებით 15:15-ს შორის და რომ მომჩივანს არ მოუთხოვია ანესთეზიოლოგის ადგილზე ყოფნა.

18. რაც შეეხება პროცესის პროცედურულ ასპექტებს, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსამართლე პ.ს. დაინიშნა მომჩივნის საქმეში, როგორც სათადარიგო მოსამართლე და რომ სსსკ-ის 436-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 435-ე მუხლის საპირისპიროდ, მას არ მოეთხოვებოდა მტკიცებულებათა თავიდან გამოკვლევა. მას ხელთ ჰქონდა სასამართლოს ჩანაწერები, რამაც უფლება მისცა, განეგრძო სასამართლო განხილვა მტკიცებულებების ხელახალი მოსმენის გარეშე.

19. სააპელაციო სასამართლოს ჩანაწერების მიხედვით, მომჩივანმა კვლავ მოითხოვა ორი დამატებითი მოწმის დაკითხვა, მეორე ულტრაბგერითი გამოკვლევის გარემოებებთან

დაკავშირებით. დაცვის მხარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცედურული მიზეზების გამო. მან დაასკვნა, რომ მომჩივნის ზემოხსენებული შუამდგომლობა უკვე განხილული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში.

20. 2008 წლის 3 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა მომჩივნის განაჩენი, დაადასტურა რა მისი ბრალეულობა. კერძოდ, მას გაუუქმდა სასჯელი 2007 წლის ამნისტიის კანონის შესაბამისად. ამავე დროს, უზენაესმა სასამართლომ განიხილა მომჩივნის არგუმენტი, რომელიც ეხებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობას და არ გაიზიარა ის, შემდეგი დასკვნის გამოტანით:

„როგორც ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე დაინიშნა სათადარიგო მოსამართლე. რადგან მისი უფლებამოსილება შეწყდა, საქმე გადაეცა სხვა მოსამართლეს... ამავე დროს, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 436-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ არის სავალდებულო სათადარიგო მოსამართლე იმყოფებოდეს სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დაწყებიდან, [ამგვარად], პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის გაგრძელებას გავლენა არ მოუხდენია განაჩენის კანონიერებაზე, საფუძვლიანობასა და სამართლიანობაზე და არც „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 436-ე მუხლის მოთხოვნები დარღვეულა.“

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

21. 1998 წელს მიღებული „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ შესაბამისი მუხლები (მოქმედებდნენ საქმეში მოცემულ დროს) შემდეგია:

მუხლი 435. საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა

„1. სასამართლომ საქმე ერთი და იმავე შემადგენლობით უნდა განიხილოს. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა იწყება ხელახლა, გარდა 436-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა...“

მუხლი 436. სათადარიგო მოსამართლე

„1. სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც ცვლის სასამართლო

შემადგენლობიდან გამოსულ მოსამართლეს, და საქმის განხილვა გრძელდება.

2. თუ სათადარიგო მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმეზე მისთვის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ცალკეულ სასამართლო მოქმედებათა ჩატარება, შესაძლებელია ცალკეული მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა...

22. „სისხლის სამართლის კოდექსის“ შესაბამისი დებულება, მოქმედი საქმეში მოცემულ დროს, შემდეგია:

მუხლი 130. ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება

„1. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არასაპატიო მიზეზით გაუწევლობა ისჯება...

2. იგივე ქმედება, რამაც ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ისჯება... “

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

23. მომჩივანი დაობს, რომ სათადარიგო მოსამართლის მონაწილეობამ მისი სასამართლო პროცესი გახადა უკანონო და რომ სათადარიგო მოსამართლემ დამნაშავედ სცნო ის ექსპერტისა და მოწმის ჩვენებების ზეპირი გამოკვლევის გარეშე. ის, ასევე, დაობდა, რომ მისი განაჩენი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, რადგან მისი არგუმენტი, რომ მას არ შეეძლო ოპერაციის დაწყება ანესთეზიოლოგის გარეშე, უპასუხოდ დარჩა. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომელიც ამბობს:

„სისხლისსამართლებრივი ბრალის გამორკვევისას... ყოველი ადამიანი აღჭურვილია სამართლიანი...განხილვის უფლებით... კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

ა. მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

24. მთავრობამ განაცხადა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებული, მომჩივნის სხვადასხვა პრეტენზიები

აშკარად ცუდად იყო დასაბუთებული შემდეგი ფაქტორების ერთობლიობის გამო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობით, სათადარიგო მოსამართლე დანიშნა სსსკ-ით დადგენილი პროცედურის შესაბამისად (ამასთან დაკავშირებით ისინი მიუთითებდნენ 436-ე მუხლზე, რომელიც ციტირებულია 21-ე პარაგრაფში ზემოთ) და არ არსებობდა მოთხოვნა სათადარიგო მოსამართლისთვის, რომ ის უნდა დანიშნულიყო საქმეზე ან მონაწილეობა მიეღო მასში საწყისი ეტაპიდანვე. სათადარიგო მოსამართლე დაეყრდნო სასამართლოს ჩანაწერებს, რომლებიც იყო მისთვის გადაცემული და რომლებიც იძლეოდა ყველა მოწმის ზეპირი გამოკითხვის დეტალებს, მათ შორის ექსპერტების (იხ. გადაწყვეტილება საქმეში *P.K. v. Finland, no.37442/97*, 2002 წლის 9 ივლისი); მომჩივანმა ვერ გამოიყენა შესაძლებლობა ეთხოვა სათადარიგო მოსამართლისთვის ნებისმიერი მოწმის ხელახლა დაკითხვა სასამართლოში და ასევე, არ მოუთხოვია მოწმეების ხელახალი გამოკითხვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში; და ბოლოს, მომჩივნის საქმე განიხილა სამი ინსტანციის სასამართლომ. ამგვარად, თუნდაც ყოფილიყო ხარვეზები ქვედა ინსტანციის სასამართლოში, მთავრობის აზრით, ისინი გამოსწორებულია შემდგომ ეტაპებზე. გარდა ამისა, მთავრობა აცხადებდა, რომ დაცვის მხარის ყველა ძირითადი არგუმენტი გადაჭრილ იქნა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში.

25. ალტერნატივის სახით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანს არ მიუღია მნიშვნელოვანი ზიანი კონვენციის შესაძლო დარღვევის შედეგად.

26. მომჩივანმა არ უპასუხა მთავრობის პრეტენზიებს მიუღებლობის შესახებ.

2. სასამართლოს შეფასება

27. რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას, რომ მოსამართლე პ. ს.-ის, როგორც სათადარიგო მოსამართლის, დანიშვნა იყო უკანონო, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამგვარი დანიშვნის პროცედურა, გათვალისწინებული სსსკ-ის 436-ე მუხლით, აღწერილი იყო საკმაოდ ზოგადად (იხ. პარაგრაფი 21 ზემოთ). მართლაც, როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა მის გადაწყვეტილებაში, სათადარიგო მოსამართლეს არ ჰქონდა ვალდებულება დანიშნული ყოფილიყო საქმეში ან თვალის

ედევნებინა მოსმენებისთვის საქმის დასაწყისიდან (იხ. პარაგრაფი 20 ზემოთ). სასამართლოს წარმოდგენით, არაფერი მიუთითებს „ეროვნული კანონმდებლობის აშკარა დარღვევაზე“, რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს ეჭვქვეშ დაეყენებინა შესაბამისი ეროვნული დებულებების ზემომოცემული ინტერპრეტაცია (იხ. *Lavents v. Latvia*, no. 58442/00, § 114, 2002 წლის 28 ნოემბერი; *DMD GROUP, a.s., v. Slovakia*, no. 19334/03, § 61, 2010 წლის 5 ოქტომბერი და *Miracle Europe Kft v. Hungary*, no. 57774/13, § 50, 2016 წლის 12 იანვარი). უფრო მეტიც, მომჩივანი არ ამტკიცებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოსამართლე პ.ს.-ის დანიშვნა მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, წარმოადგენდა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის დარღვევას (შეადარეთ *Fatullayev v. Azerbaijan*, no. 40984/07, § 145, 2010 წლის 22 აპრილი; იხ. ასევე *Shaykhatarov and Others v. Russia [Committee]*, no. 47737/10 and 4 others, § 40, 2019 წლის 15 იანვარი). ამგვარ გარემოებებში, სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ მოსამართლე პ. ს. უკანონოდ დაინიშნა მომჩივნის სასამართლო პროცესზე (შეადარეთ *Chim and Przywieczerski v. Poland*, nos. 36661/07 and 38433/07, §§ 138-139, 2018 წლის 12 აპრილი; იხ. ასევე *Richert v. Poland*, no. 54809/07, §§ 50 და 55, 2011 წლის 25 ოქტომბერი). გარდა ამისა, არსებობდა სამართლებრივი საფუძვლები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსამართლე პ. ს.-ის გადაყვანისთვის (იხ. პარაგრაფი 12 ზემოთ); მომჩივანმა იცოდა ამის მიზეზები და საქმის მასალებში არ არის იმის მტკიცებულება, რომ მოსამართლე პ.ს.-ის დანიშვნა შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან (შეადარეთ *Sutyagin v. Russia*, no. 30024/02, §§ 184-90, 2011 წლის 3 მაისი). ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო საჩივრის ამ ნაწილს მიიჩნევს აშკარად დაუსაბუთებლად და უარყოფს მას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

28. რაც შეეხება სათადარიგო მოსამართლის მიერ, რომელიც არ მონაწილეობდა მტკიცებულებების გამოკვლევაში, მომჩივნის დამნაშავედ ცნობის ხარჯზე უშუალოდ პრინციპის სავარაუდო დარღვევას, სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრის დადებამ სერიოზული შედეგები გამოიწვია მომჩივნის პირად ცხოვრებაზე. ამგვარად, იმის გათვალისწინებით, თუ რა რისკების წინაშე იყო ის, არ შეიძლება დავასკვნათ, როგორც ეს მთავრობის ვარაუდია (იხ. პარაგრაფი 25 ზემოთ), რომ მას არ

განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი. შესაბამისად, მთავრობის საწინააღმდეგო აზრი არ უნდა იქნეს გაზიარებული კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ბ) პუნქტზე დაყრდნობით. მთავრობამ, ასევე, განაცხადა, რომ მომჩივნის ეს პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელი იყო, სხვებს შორის, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას არ მოუთხოვია მოწმეების ხელახლა მოსმენა პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოში. სასამართლო ამ არგუმენტს არ მიიჩნევს როგორც ცალკე შეპასუხებას შიდა მექანიზმების არ ამოწურვასთან მიმართებით; სამაგიეროდ, ეს ეხება პროცედურების ზოგად სამართლიანობას. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ მომჩივნის საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. ის არ არის მიუღებელი არც ერთი სხვა საფუძვლით, შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

29. და ბოლოს, რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის შესახებ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ის არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. ის არ არის მიუღებელი არც ერთი სხვა საფუძვლით. შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

B. საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა არგუმენტები

30. მომჩივანი დაობს უშუალოდ პრინციპის დარღვევაზე და დამატებით ხაზს უსვამს იმას, რომ ეს ხარვეზი არ იყო აღმოფხვრილი ზედა ინსტანციის სასამართლოებში.

31. მთავრობა კვლავ ადასტურებს თავის პოზიციას, რომ მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება მთლიანობაში განხორციელდა სამართლიანად. ის ამტკიცებს, რომ იმ ფაქტს, რომ მოსამართლე პ.ს. არ მონაწილეობდა მტკიცებულებების გამოკვლევაში სასამართლო პროცესის დაწყებიდან, არ ჰქონია უარყოფითი გავლენა მომჩივნის სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე პ. ს. ეყრდნობოდა მის ხელთ არსებულ სასამართლოს ჩანაწერებს. ამასთან დაკავშირებით, მთავრობა ხაზს უსვამს იმას, რომ მომჩივნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა დიდი მოცულობის

წერილობით მტკიცებულებებს, ძირითადად ექსპერტების მონაცემებს. გარდა ამისა, მომჩივნის მიმართ განაჩენი ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ და უზენაესმა სასამართლომ და მომჩივანს სადავოდ არ გაუხდია რომელიმე ამ სასამართლოს შემადგენლობა, ეროვნულ დონეზე ან სტრასბურგის სასამართლოს წინაშე.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

32. სასამართლო კვლავ ადასტურებს, რომ სამართლიანი სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელოვანი ასპექტი არის ბრალდებულის შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მოწმეებს მოსამართლის თანდასწრებით, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს (იხ. სხვა მრავალ საქმეთა შორის, *Graviano v. Italy*, no. 10075/02, § 38, 2005 წლის 10 თებერვალი, შემდგომი მაგალითებით ამ დოკუმენტში). უშუალოდ პრინციპი სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაში მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომლის საშუალებით სასამართლოს დაკვირვებებს მოწმის ქცევისა და სანდოობის შესახებ, შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს ბრალდებულისთვის (იხ. *Beraru v. Romania*, no. 40107/04, § 64, 2014 წლის 18 მარტი, და *Cutean v. Romania*, no. 53150/12, § 60, 2014 წლის 2 დეკემბერი).

33. უშუალოდ პრინციპის შესაბამისად, გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე უნდა მიიღონ მოსამართლეებმა, რომლებიც ესწრებოდნენ სხდომებსა და მტკიცებულებების შეგროვების პროცესს სრულად (იხ. *Cutean*, ციტირებულია ზემოთ, § 61). თუმცა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო შემადგენლობის ნებისმიერი ცვლილების აკრძალვად საქმის მიმდინარეობის პერიოდში (იხ. *P.K. v. Finland*, ციტირებული ზემოთ). შეიძლება წარმოიშვას ძალიან მკაფიო ადმინისტრაციული ან პროცედურული ფაქტორები, რაც მოსამართლის საქმეში მონაწილეობის გაგრძელებას შეუძლებელს ხდის. სასამართლომ მიუთითა, რომ მიღებულ უნდა იყოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეებს, რომლებიც აგრძელებენ საქმის განხილვას, ჰქონდეთ მტკიცებულებებისა და არგუმენტების სათანადო გაგება, მაგალითად, საქმის ჩანაწერებზე წვდომით, რომლებშიც მოწმეების სანდოობა არ დგას ეჭვქვეშ, ან შესაბამისი არგუმენტების ან მნიშვნელოვანი მოწმეების ხელახალი

მოსმენის გამართვით სასამართლოს ახალი შემადგენლობის წინაშე (იხ. *Cutean*, ციტირებულია ზემოთ, § 61). გარდა ამისა, არსებობს იმის ალბათობა, რომ ზედა ან უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, გარკვეულ გარემოებებში, გამოასწოროს პირველ ინსტანციაში საქმის წარმოების ხარვეზები (იხ. *De Cubber v. Belgium*, 1984 წლის 26 ოქტომბერი, § 33, Series A no. 86).

(ბ) ზოგადი პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

(i) უშუალოების პრინციპის დარღვევა

34. რაც შეეხება უშუალოების პრინციპის შესაძლო დარღვევას, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, შეესაბამებოდა თუ არა მოსამართლე გ.კ.-ის შეცვლა მოსამართლე პ.ს.-ით და ამ უკანასკნელის მიერ მტკიცებულებების ხელახლა მოსმენაზე უარის თქმა მომჩივანს საქმეში სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, და კერძოდ, უშუალოების პრინციპს. სასამართლოს აზრით, სიტუაცია ამ საქმეში სპეციფიური იყო, იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე პ. ს. საერთოდ არ მონაწილეობდა ჩვენებების ზეპირ მოსმენაში, მას არ მოუსმენია ჩვიდმეტი მოწმიდან არც ერთისთვის, ორი ექსპერტისა და მომჩივნის დამცველების ჩათვლით და მან დამნაშავედ სცნო მომჩივანი მხოლოდ სასამართლოს ჩანაწერების საფუძველზე.

35. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი საქმის მიმდინარეობის განმავლობაში, მომჩივანი მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ძალზე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო პროკურატურის მიერ, კერძოდ, გ.მ.-ის მეორე ულტრაბერითი გამოკვლევის ჩატარების გარემოებებს და ოპერაციისთვის ავადმყოფის მომზადების გარემოებებს და ამ მიზნისთვის ანესთეზიოლოგის ხელმისაწვდომობას. ამ ფაქტების დასადგენად, რომლებიც აშკარად მთავარი იყო ბრალდებულის მიმართ განაჩენის გამოსატანად, მოსამართლე პ. ს. ეყრდნობოდა მოწმეების ჩვენებების ჩანაწერებს და არა სხვა წერილობით დოკუმენტებს. მართალია, რომ მოსამართლე პ. ს.-ს ხელთ ჰქონდა ყველა ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა იმ მოწმეების გამოკითხვას, როდესაც მან გამოიტანა გადაწყვეტილება. თუმცა, საქმის რთული ფაქტობრივი წინაპირობებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსამართლე პ. ს. განიხილავდა ამ საქმეს, როგორც ერთადერთი

მოსამართლე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა უშუალოდ შეეფასებინა შესაბამისი პირების განცხადებები და ქცევა, რამაც მას არ მისცა შესაძლებლობა, ჩამოეყალიბებინა საკუთარი აზრი მათი სანდოობის შესახებ და შეამცირა მისი შესაძლებლობა, ჰქონოდა სათანადო წარმოდგენა მტკიცებულებებისა და არგუმენტების შესახებ ისე, რომ მომჩივნის უფლება სამართლიან სასამართლოზე დაცული ყოფილიყო (იხ. *Cerovšek and Božičnik v. Slovenia*, nos. 68939/12 და 68949/12, §§ 38-48, 2017 წლის 7 მარტი; და შეადარეთ *Graviano*, ზემოთ ციტირებული, § 39, სადაც სასამართლოს შემადგენლობაში რვიდან მხოლოდ ერთი მოსამართლე იქნა შეცვლილი; ასევე, შეადარეთ, *P.K.*, ზემოთ ციტირებული, სადაც თავმჯდომარე მოსამართლე იქნა შეცვლილი მაშინ, როცა სამი დამხმარე მოსამართლე იგივე დარჩა პროცესის განმავლობაში).

36. მომჩივანი პირდაპირ გამოხატავდა ამ საკითხთან დაკავშირებით თავის უკმაყოფილებას მის სააპელაციო საჩივარში თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე (იხ. პარაგრაფი 15 ზემოთ). თუმცა, საჩივრის არსებითი განხილვის გარეშე, სასამართლომ დაასკვნა, რომ რადგან პ. ს. დანიშნული იყო, როგორც სათანადო მოსამართლე, მას არ ჰქონდა ვალდებულება ხელახლა მოესმინა ჩვენებები (იხ. პარაგრაფი 18 ზემოთ). უზენაესმა სასამართლომ იგივე დასკვნა გამოიტანა (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ). ამ კონტექსტში, სასამართლო აღნიშნავს მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა კონკრეტული მოწმეების ხელახლა დაკითხვა პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს წინაშე, მაგრამ არ გააკეთა ეს (იხ. პარაგრაფი 24 ზემოთ). სასამართლოს ხელთ არსებული დოკუმენტები მიუთითებენ, რომ როგორც კი განახლდა სასამართლო პროცესი მომჩივნის წინააღმდეგ მოსამართლე პ. ს.-ის მონაწილეობით, დაცვის მხარემ მოითხოვა, სსსკ-ის 435-ე მუხლზე მითითებით, რომ მტკიცებულებები ხელახლა ყოფილიყო გამოკვლეული. მაგრამ მოსამართლე პ. ს.-მ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა (იხ. პარაგრაფი 13 ზემოთ). გარდა ამისა, მომჩივანმა მოითხოვა ორი დამატებითი მოწმის დაკითხვა, მაგრამ ეს შუამდგომლობა ასევე არ იყო დაკმაყოფილებული (იხ. იქვე). ეს, ასევე, არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომელმაც მარტივად დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უკვე განხილული ჰქონდა ეს შუამდგომლობა (იხ.

პარაგრაფი 19 ზემოთ). ამგვარ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა ყველაფერი გააკეთა, რაც გონივრულად და რეალისტურად იყო მისგან მოსალოდნელი ამ საკითხთან დაკავშირებით.

37. სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს იმის მტკიცებულება საქმის მასალებში, რომელიც მიუთითებდა, რომ პირველ ინსტანციაში მოსამართლე შეცვლილი იყო საქმის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მიზნით მომჩივნის საზიანოდ ან სხვა რაიმე არასათანადო მოტივით. თუმცა, მომჩივნის თანაბრალდებულების, ადვოკატების, მოწმეებისა და ექსპერტების ჩვენებები საკვანძო მტკიცებულებას წარმოადგენდნენ მომჩივნის მსჯავრდებაში არცერთი ამ პირისთვის უშუალოდ არ მოუსმენია მოსამართლე პ. ს.-ს. მან, ასევე, უარი თქვა დაცვის მიერ წარმოდგენილი ორი სხვა მოწმის მოსმენაზე, რომლებიც გამოკითხულნი უნდა ყოფილიყვნენ მისი თანდასწრებით. გარდა ამისა, როგორც ზემოთ მითითებულია 35-ე პარაგრაფში, საქმის ფონი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხრივ იყო კომპლექსური და მოსამართლე პ. ს. იხილავდა საქმეს, როგორც ერთადერთი მოსამართლე. ამ გარემოებებში, წერილობითი ჩვენებების ჩანაწერების ხელმისაწვდომობას არ შეეძლო უშუალოდ არარსებობის კომპენსირება (იხ. *Beraru*, ზემოთ ციტირებული, § 66). გარდა ამისა, ზედა ინსტანციის სასამართლოებმა ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება რაიმე ჩვენების უშუალოდ მოსმენის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მათ უფლება ჰქონდათ ეს გაეკეთებინათ. შესაბამისად, არ შეიძლება იმის თქმა, რომ წინამდებარე საქმეში ხარვეზი გამოსაწორებული იყო ზედა ინსტანციის სასამართლოების მიერ (იხ. იქვე, §§ 71 და 82).

38. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის უფლება სამართლიან სასამართლოზე დაირღვა, რადგან პირველი ინსტანციის მოსამართლემ, რომელმაც დამნაშავედ სცნო, არ გაითვალისწინა უშუალოდ პრინციპი და არც სათანადო ზომები ყოფილა მიღებული ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

(ii) სათანადო დასაბუთების არარსებობა

39. მომჩივანი დაობდა, რომ მის მიმართ განაჩენი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, რადგან მისი არგუმენტი, რომ მას არ შეეძლო ოპერაციის დაწყება ანესთეზიოლოგის არყოფნის პირობებში, უპასუხოდ დარჩა. თუ გავითვალისწინებთ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, რაც ზემოთ დადგინდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ პრეტენზიის ცალკე გამოკვლევა საჭირო არ არის.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

40. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„თუ სასამართლო დასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

41. მომჩივანი მოითხოვდა 38,584 ლარს (დაახლოებით 16,000 ევრო) მატერიალური ზიანის სახით, მისი სამუშაოსა და ხელფასის დაკარგვის გამო. მან, ასევე, მოითხოვა 20,000 ევრო მორალური ზიანისთვის, ის ამტკიცებდა, რომ განიცადა მორალური ზიანი სისხლის სამართლის საქმის უსამართლოდ წარმოების გამო მის მიმართ.

42. მთავრობა არ დაეთანხმა მომჩივნის მოთხოვნას მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, როგორც საჩივრის არსებით მხარესთან კავშირის არმქონეს. რაც შეეხება მორალურ ზიანს, იმ პირობებში, რომ დადასტურდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, ჩაეთვალა, რომ ეს დასკვნა თავისთავად წარმოადგენდა საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

43. სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზეზობრივი კავშირი აღმოჩენილ დარღვევასა და შესაძლო მატერიალურ ზიანს შორის; შესაბამისად, მან არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. მეორე მხრივ, მან მიაკუთვნა 3,500 ევრო მომჩივანს მორალურ ზიანთან დაკავშირებით.

B. ხარჯები

44. მომჩივანმა, ასევე, განაცხადა, რომ მისი ხარჯები სასამართლოში საქმის წარსადგენად შეადგენდა 5,000 ევროს. მას არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი ამ მოთხოვნის გასამყარებლად.

45. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანმა ვერ წარმოადგინა ერთი დოკუმენტიც კი, რომელიც ფინანსურად ან სხვა სახით დაადასტურებდა მის მოთხოვნას.

46. მის ხელთ არსებული დოკუმენტებისა და პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურებაზე.

C. საურავი

47. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მოტივით, სასამართლო ერთხმად,

1. აცხადებს, რომ საჩივარი მომჩივნის საქმეში მოსამართლე პ. ს.-ის უკანონოდ დანიშვნის ნაწილში მიუღებელია, ხოლო საჩივრის დანარჩენი ნაწილი მისაღებია;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას უშუალოდ პრინციპის დარღვევის საფუძველზე;
3. ადგენს, რომ არ არის აუცილებელი იმ პრეტენზიის ცალკე განხილვა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, რომელიც ეხება ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების არასაკმარის დასაბუთებულობას.
4. ადგენს

(ა) რომ, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, მომჩივანს გადაუხადოს 3,500 ევრო (სამი ათას ხუთასი ევრო) მორალური ზიანისთვის და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს.

(ბ) რომ ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ ანაზღაურებამდე, ზემოთ აღნიშნულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

5. *უარყოფს* მომჩივნის მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილების დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობათ 2019 წლის 25 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვისტერდიკი
სექციის გამწესრიგებელი

ანგელიკა ნუსბერგერი
თავმჯდომარე